

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიისა და  
საქართველოს წითელი ჯვრის  
მიზნობრივი პროგრამა

2026 წლისათვის  
ზომის ერთეული ლარი

1. პროგრამის სახელწოდება:

„გამლიერებული ადგილობრივი თემების ახალგაზრდები კატასტროფების ზეგავლენის შემსუბუქების, უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისთვის თერჯოლაში“

2. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი:

„01 ივლისი“ 2026წ.  
„31 დეკემბერი“ 2026წ.

3. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი 30 000. 00 (ოცდაათათასი ლარი და 00 თეთრი)  
ლარი. მხარდასაჭერი თანხა 2026 წლის თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი  
ბიუჯეტიდან 13 500. 00 (ცამეტათასსუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო:

- თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი;
- საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

- საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება.

## 6. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასახულება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

საქართველო რადიკალური და სწრაფი ცვლილებების აუცილებლობის წინაშე დგას, რადგან სპონტანურად და არათანმიმდევრულად განხორციელებულმა რეფორმებმა ქვეყანაში ვითარება საგრძნობლად გააუმჯობესა, მაგრამ სასურველი შედეგი ვერ მოგვცა, განსაკუთრებით, უმუშევრობისა და სიღარიბის დონის შემცირების კუთხით. დღემდე არსებულ სტრატეგიულ და სპაროგრამო დოკუმენტებში გაცხადებული მიზნები, რომლებიც სიღარიბისა და უმუშევრობის მნიშვნელოვან შემცირებას უკავშირდებოდა, კვლავ მიუღწეველია. ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს ასევე გაზმირებული სტიქიური უბედურებები თუ სხვადასხვა სახის დაავადებათა გავრცელების საფრთხე, რაც მოსახლეობას, განსაკუთრებით კი მოწყვლად ჯგუფებს, დიდი რისკის წინაშე აყენებს. საქართველოში ამ მიმართულებითაც არაერთი რეფორმა განხორციელდა და შესაბამისი ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა სრულყოფილი და სტაბილური სისტემის შექმნა მოითხოვს გრძელვადიან განვითარებას. თანამედროვე მსოფლიოში, მათ შორის ჩვენ ქვეყანაში, გლობალურმა მანდემიამ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა როგორც საზოგადოება, ასევე ჯანდაცვის სისტემა და ადგილობრივი თვითმმართველობა. გასათვალისწინებელია, რომ არაერთი გამოწვევის წინაშე მდგომი მოსახლეობის დღის წესრიგი გულისხმობს მოქალაქეების საყოველთაო ჩართულობასა და უშუალოდ თემის წევრების აქტიურ მონაწილეობას განვითარების პროცესში.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, როგორც ჰუმანიტარულ სფეროში მთავრობის დამხმარე ორგანიზაცია (საქართველოს კანონი „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების შესახებ“ 15/07/2017 ), ემსახურება განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანების ხვედრის შემსუბუქებას, მათი სიცოცხლისა და ღირსების დაცვას. აღსანიშნავია, რომ დღეისათვის საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება წარმოადგენს ერთადერთ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელსაც ქვეყნის სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის (საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის #508 დადგენილება) შესაბამისად შემდეგი ფუნქციები აქვს: მონაწილეობს სამშენრო და სამშველო საქმიანობებში; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს კოორდინირებით ორგანიზებას უწევს საგანგებო სიტუაციის შედეგების აღმოფხვრაში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობებს; არის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დამხმარე რეგული დაზარალებულის მოსახლეობისათვის პირველი დახმარების უზრუნველყოფაში და სავალდე პოსპიტალის მოწყობაში; ასევე ეხმარება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაზარალებული მოსახლეობისათვის წყლისა და საკვების მიწოდებაში საგანგებო სიტუაციის დროს.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მნიშვნელოვან პრიორიტეტებს წარმოადგენს:

- **კატასტროფების მართვა (რისკის შემცირება, მზადება და რეაგირება),** რაც გულისხმობს თემის მოწყვლადობისა და შესაძლებლობების შეფასებას, ცოდნის ამაღლებას კატასტროფების შესახებ თემში მათი შესაძლებლობების გაზრდისა და თემის ეფექტური რეაგირებისათვის საგანგებო/კრიზისული სიტუაციის დროს; რეაგირების გუნდების შექმნას (მათ შორის პირველი დახმარების და ფსიქოსოციალური დახმარების გუნდები), წვრთნას/სწავლებას, სიმულაციური ვარჯიშების მოწყობას და რეაგირების მექანიზმში ჩართულ ყველა

დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობის გაუმჯობესებას; მუნიციპალიტეტების რეაგირებისა და ევაკუაციის გეგმების (მათ შორის საოჯახო გეგმის) შემუშავებაში/განახლებაში აქტიურ მონაწილეობას.

- **ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა**, რაც ითვალისწინებს მოხილვური პირველადი ჯანდაცვის კაბინეტების შემგეობით უფასო სამედიცინო-დიაგნოსტიკურ კვლევებსა (მუცლის ღრუსა და სხვა შინაგანი ორგანოების ექოსკოპირება უახლესი აპარატურით, კარდიოლოგიური, გინეკოლოგიური და ოფთალმოლოგიური გამოკვლევა, სისხლში შაქრის შემცველობის დონის განსაზღვრა, ფარისებრი ჯირკვლის რადიოლოგიური კვლევა) და ექიმ-თერაპევტის, გინეკოლოგისა თუ ოფთალმოლოგის კონსულტაციას მოწყვლადი ჯგუფებისთვის, განსაკუთრებით ქალაქებიდან მოშორებით მდებარე დასახლებებსა და თემებში. ასევე სისხლის უანგარო, ნებაყოფლობითი დონაციის პროპაგანდის მეშვეობით სისხლის დონორების მობილიზებას და ქვეყანაში არსებული სისხლის მარაგის შევსებას, იმუნოჩაგვის გზით ქვეყნის მოსახლეობის ეფექტურ დაცვას მართვადი დაავადებებისაგან, საგანგებო სიტუაციებისთვის, მათ შორის პანდემიებისთვის მზადყოფნას, ეპიდემიური კონტროლის, წყლის ჰიგიენისა და სანიტარიის, მასობრივი საგანგებო სიტუაციების მართვის, პირველი დახმარებისა და ფსიქოლოგიური პირველი დახმარების შესახებ ცოდნის ამაღლების და პრაქტიკული უნარების განვითარების გზით, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს თემის დონეზე საგანგებო მდგომარეობებზე რეაგირების გაუმჯობესებას;

- **სოციალური მხარდაჭერა**, რომლის ფარგლებში „ინტეგრირებულ საქმიანობათა დღის ცენტრის“ ბაზაზე არის შექმნილი სხვადასხვა საქმიანობათა ჯგუფები და ხორციელდება ბენეფიციართა უნარ-ჩვევების განვითარება (თემბუტური ტრენინგები, სემინარები, სასწავლო სესიები და ა.შ.), სერვისების მიწოდება (ბინაზე ვიზიტები, შინმოვლა, საოჯახო საქმიებში დახმარება, რეცხვა და ა.შ.) და ადგილვატირება (თარუთაო შეფუქდებით დაიხურეთხელდი აიოთა მთავარდლოითი, კონსულტაზია და ობფოთორია). თუხეფიციარტონ ტესამლოთობა ემლოვავთ დირსეულ გარემოში დაგეგმონ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ზემოაღნიშნული ცენტრის ყოველდღიურ საქმიანობაში, სხვადასხვა სოციალურ ღონისძიებაში, რაც ხელს უწყობს მათი ყოფის შემსუბუქებას, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და თაობათაშორისი ურთიერთობების გაუმჯობესებას.

- **ახალგაზრდული და მოხალისეობრივი მოძრაობის განვითარება**, რომელიც მიზნად ისახავს მოხალისეობრივი ინსტიტუტის პოპულარიზებასა და გაძლიერებას, მოსახლეობის ჩართვას სხვადასხვა მოხალისეობრივ აქტივობებში, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს თითოეული ინდივიდის პიროვნულ ზრდას (ტრენინგების/სემინარების/სასწავლო სესიების/პრაქტიკული სავარჯიშოების და ა.შ. სამუშაოებით) სხვადასხვა მიმართულებით, მათში ჰუმანიტარული ღირებულებების ჩამოყალიბებას, სოციალური პასუხისმგებლობის ამბავებას, მათ მობილიზებას და აქტიურ მონაწილეობას მოწყვლადი ჯგუფების დახმარებაში, როგორც სასოფლო, ასევე საქალაქო თემებში. ახალგაზრდებს ეძლევათ არაფორმალური განათლების და სხვადასხვა ცხოვრებისული უნარ-ჩვევების განვითარების საშუალება, რაც ხელს უწყობს მათ თვითრეალობებას და უშუალო მონაწილეობას თემის, მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის განვითარებაში. ახალგაზრდებისთვის ასევე ხელმისაწვდომი ხდება ჩაერთონ თანასწორთა განათლების პროცესში და დაეხმარონ თანატოლებს გახდენენ უფრო მოტივირებულები, აქტიურები და გაუმჯობესონ მათთვის საჭირო შესაბამისი უნარ-ჩვევები.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას აქვს როგორც თემებში მოწყველადი ჯგუფების (სკოლამდელი ასაკის ბავშვები და მოზარდები, ხანდაზმულები, ასევე იძულებით გადაადგილებული, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი პირები) წინაშე არსებულ გამოწვევებზე მყისიერი რეაგირების, ასევე პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისა და რისკების შემცირების მრავალწლიანი გამოცდილება, ცოდნა და პოტენციალი. იგი ხელს უწყობს უსაფრთხო ადგილობრივი თემების განვითარებას საერთაშორისო თუ ადგილობრივ დონეზე პარტნიორთა მობილიზებით და თთვ (თემის თანამონაწილეობით განვითარება) მიდგომის გამოყენებით, რომლის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის ყველა დაინტერესებულ მხარეს თემის საქიროებებზე რეაგირების პროცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობას აძლევს, განსაკუთრებით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებსა და თვით თემის წევრებს, რაც შემდგომში არის ამ პროცესის მდგრადობის წინაპირობა.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება **თერჯოლაში** მოქმედი მობალისეთა ჯგუფებით თავისი პრობლემებიდან და განსაზღვრული მანდატიდან გამომდინარე ცდილობს წველილი შეიტანოს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში ადგილობრივ ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობით, რისთვისაც ის თავის რესურსსა და გამოცდილებას იყენებს მოსახლეობის კეთილდღეობისა და ღირსეული გარემოს შექმნისათვის. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მობალისეთა ჯგუფები **თერჯოლაში** აქტიურად ახორციელებს მოწყველადი ჯგუფების, მათ შორის ხანდაზმულების, სოციალურ მხარდაჭერასა და თემის უნარიანობის ამაღლებაზე ორიენტირებულ საქმიანობებს. იგი ასევე მუშაობს ახალგაზრდების გაძლიერების და მობალისეთა ინცივივატივების განვითარების მიმართულებით, კვალიფიციურ მობალისეთა ქსელის საშუალებით აწვდის სხვადასხვა სახის სერვისებს და უნველ ჯგუფებს და აქტიურად და მჭიდროდ თანამშრომლობს ადგილობრივ ხელისუფლებასთან. სულ უფრო თვალსაჩინო და ხელშესახები ხდება სარგებელი როგორც მიზნობრივი ჯგუფებისათვის, ასევე მთლიანად თემის წევრებისათვის. სასწავლო ტრენინგ მიდოლოგიისა და კვალიფიციური ტრენინგების არსებობა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად საშუალებას აძლევს განახორციელოს როგორც თემის წევრების სწავლება, ასევე მოახდინოს სათანადო რეაგირება საჭიროებებისა და გამოწვევების საპასუხოდ.

პროექტი საშუალებას მისცემს თემს შეისწავლოს და პრაქტიკაში გამოიყენოს ის ცოდნა და გამოცდილება, რომელსაც წითელი ჯვრის საზოგადოება გადასცემს თემის წევრებს თავის პარტნიორებთან ერთად. თემის წევრები მიღებულ ცოდნასა და გამოუმუშავებულ უნარ-ჩვევებზე დაყრდნობით შემოებენ უფრო მეტად უსაფრთხო და სტაბილური თემების ჩამოყალიბებას, რომელსაც შესწევს უნარი ადგილობრივ ხელისუფლებასთან და **თერჯოლაში** წითელი ჯვრის გუნდთან კოორდინირებაში მოახდინონ კატასტროფების მიმართ მოწყველადობის რისკის შემცირება და გაუმკლავდნენ ადგილზე წარმოქმნილ სხვადასხვა ტიპის გამოწვევებს, მათ შორის ეპიდემიებით მიღებულ ზიანს. შეთავაზებული პროექტის განხორციელებით, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას **თერჯოლაში** შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს კატასტროფებისადმი მოწყველადი ჯგუფების, ახალგაზრდების, ხანდაზმულების და მთლიანად თემის ჯანმრთელობისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასა და შენარჩუნებაში, მათ გაძლიერებასა და მათივე პრობლემების ადვოკატირებაში. მობილიზებული პარტნიორები, თემის წევრები და სერვისების მიწოდებასა და განხორციელებაში გაწოდებული მობალისეები კი არის შეთავაზებული პროექტის წარმატებით განხორციელებისა და მდგრადობის გარანტი.

7. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

პროგრამის მიზნები

№	მიზანი	შეფასების ინდიკატორი
1	<p>უსაფრთხო თემების ჩამოყალიბების/განვითარების ხელშეწყობა კატასტროფებისთვის მზადებით, ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გაზრდითა და სოციალური მხარდაჭერითა</p> <p>-</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საქმიანობათა ცენტრი, რომელიც პასუხობს მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს და ფუნქციონირებს პერსონალის, მობალისებისა და ბენეფიციარების თანამონაწილეობით.</li> <li>• ჩამოყალიბებული საქმიანობათა ჯგუფები, რომელთა მართვა ხორციელდება ჯგუფის ლიდერების მიერ.</li> <li>• რეგულარული ტრენინგები და წამახალისებელი ღონისძიებები მობალისებისთვის</li> <li>• შერჩეული, გადაამზადებული და აღჭურვილი მობალისეთა მობილური ჯგუფი კატასტროფებზე, მათ შორის მასობრივ საგანგებო სიტუაციებზე სწრაფი და ეფექტური რეაგირებისათვის.</li> <li>• პერსონალის, მობალისებისა და ბენეფიციარების გაზრდილი რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ პროგრამის მომსახურებით</li> </ul>

პროგრამის ამოცანები

№	ამოცანები	შეფასების ინდიკატორი
1.	<p>სასოფლო და საქალაქო თემის წევრების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება კატასტროფების მიმართ მოწყვლადობის შემცირებით, მზადყოფნისა და რეაგირების შესაძლებლობების გაზრდით.</p>	<p><b>შეფასების ინდიკატორი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თემის მობალისეთა გადამზადებული ჯგუფი</li> <li>• მუნიციპალიტეტის განახლებული რეაგირების გეგმა და ნათლად განსაზღვრული რეაგირების გეგმები ჩართული სტრუქტურების რილი და მოვალეობები.</li> <li>• ერთი სიმულაციური ვარჯიში ჩატარებული სამიხნე სკოლაში არსებული საევაკუაციო გეგმის შესაბამისად</li> <li>• მოსწავლეების მიერ წარმოჩენილი ცოდნა, თუ როგორ უნდა მოიქცეს სკოლაში საგანგებო სიტუაციის დროს</li> <li>• ერთი ინიცირებული სიმულაციური ვარჯიში, რაც გულისხმობს არსებული მუნიციპალიტეტის რეაგირების გეგმის ამოქმედებას დაინტერესებულ</li> </ul>

	<p>მხარეთა მონაწილეობით</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ქუჩის ორი აქცია (გამწვანება, დასუფთავება და ა.შ.).</li> <li>• საინფორმაციო და საგანმანათლებლო მასალა, რომელიც მიეწოდა მოსახლეობას</li> <li>• შემუშავებული/ან განახლებული თემის რეაგირების გეგმა</li> </ul>
<p>2. თემის მედეგობის გამტარება ყოველდღიურ უხეიღურ შემთხვევებთან, დაავადებებთან და ეპიდემიებთან, კონფლიქტურ და კრიზისულ სიტუაციებთან უკეთ გამკლავებისა და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ჩამოყალიბებული და გაწვრთნილი პირველი დახმარების გუნდი, რომელიც თემის წევრებს შორის რეგულარულად ავრცელებს ინფორმაციასა და ცოდნას პირველი დახმარების შესახებ</li> <li>• არანაკლებ ორი „პირველი დახმარების“ ქუჩის ჩატარებული აქცია თემის წევრთა გაზრდილი რაოდენობა, ვინც ფლობს პირველი დახმარების უნარებს</li> <li>• ჩამოყალიბებული და გაწვრთნილი მოხალისეთა გუნდი, რომელიც რეგულარულად ახდენს სისხლის ნებაყოფლობითი უსაფრთხო, უანგარო დონაციის და ქვეყანაში სისხლის მარაგის შევსების პროპაგანდას; საგანგებო სიტუაციების დროს ჯანდაცვის გამოწვევების მიმართ ადგილობრივი თემების გამტარება; მართვადაი დაავადებებისაგან იმუნიზაციის გზით ქვეყნის მოსახლეობის ეფექტური დაცვის პოპულარიზაციას.</li> <li>• ერთი სამედიცინო-დიაგნოსტიკური კვლევა, რომელშიც მონაწილეობდა არანაკლებ 130 ბენეფიციარი</li> </ul>
<p>3. ცესტოუ დაფუძინებული საქმიანობების განვითარება თემებში მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ხანდაზმულებისა და ახალგაზრდებისათვის.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კარგად ფუნქციონირებადი საქმიანობათა ცენტრი, რომელიც ემსახურება ახალგაზრდებისა და ხანდაზმულების გაქტიურებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში</li> <li>• საქმიანობათა ცენტრით მოსარგებლე ბენეფიციართა და მოხალისეთა გაზრდილი რაოდენობა, რომელნიც ახორციელებენ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას და უნარ-ჩვევების განვითარებას ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე მოხილვითი პარტნიორების გაზრდილი რაოდენობა და მათი მონაწილეობით მოწყობილი სამუშაო შეხვედრები ხანდაზმულთა და ახალგაზრდების საქიროებებსა და გამოწვევებზე რეაგირებისთვის</li> </ul>

**8. პროგრამით მოსარგებლეთა (ბენეფიციართა ) რაოდენობა და კატეგორია:**

ბირითად (პირდაპირ) სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ:

1. 18-29 წლამდე ახალგაზრდები, სასკოლო და სკოლამდელი ასაკის მქონე პირები;





3. გენტრზე დაფუძნებული მოწყვლადი ახალგაზრდებისათვის	საქმიანობების მათ შორის	განვითარება თემებში ხანდაზმულებისა და ახალგაზრდებისათვის																
3.1 საქმიანობათა გენტრის ბენეფიციართა და ვიზიტორთა მიზანცემთა ბაზის ჩამოყალიბება და განახლება																		
3.2 მონალისეუბაზე დაფუძნებული საქმიანობათა ჯგუფების შემადგენლობის განახლება																		
3.3 ახალგაზრდებისა და ხანდაზმულების, თემის ლიდერებისა და მონალისეუბის ქსელის განმტკიცება ადგილობრივ და გენტრალურ დონეებზე																		
3.4 ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა (შობა-ახალი წელი, დედის დღე, აღდგომა, საიუბილეო თარიღები და სხვა) და სოციალური ღონისძიებების მოწყობა (პოეზიის საღამოები, ექსკურსია, გაცვლითი ვიზიტი, ჩემპიონატი ქადრაკა თუ შაში და ა.შ.). ბენეფიციარების აქტიური ჩართულობით																		
3.5 რეგულარული და განახლებული სასწავლო და სამუშაო სესიები/ტრენინგები/სემინარები (ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, ფონდების მოძიება, კომუნიკაცია, პირველი დახმარება, პროექტების მართვის ციკლი, სისხლის დონაცია) ბენეფიციარების, მონალისეუბის, მთავარი დაინტერესებული პირებისა და პროექტის თანამშრომლებისათვის																		
შტატის ფორთხით მასალებით განახლება და მიწოდება ბენეფიციარებისათვის																		
საინტერესო საკითხებზე																		
3.7 მცირე პროექტების მომზადება ბენეფიციართა საქმიანობებზე რეაგირებისა და მხარდაჭერისთვის, შერჩევა და განხორციელება																		
3.8 დისკუსიებისა და სამუშაო შეხვედრების მოწყობა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით																		

**10. პროგრამის ბიუჯეტი**

პროექტის საერთო ღირებულება არის **30 000,00** ლარი. დეტალური ხარჯთაღრიცხვა იხილეთ დანართი 2. პროექტი განხორციელდება საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების თანადაფინანსებით და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით.